

899.962.1

ს-752

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებათ

ნათელა ირაკლის ასული სახაძე

ბ რ ი გ მ ლ დ ი დ ი ს " დ ა ა ლ მ ღ ნ ა "

10.01.02 ქართული ლიტერატურა

სადისერტაციო შატნე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა

თბილისი

1995



ნაშრომი შესრულებულია იგანე ჯაფარიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ე. ხინთიბაძე


ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
მ. ქავთარია  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,  
ლექტორი გ. კობლაძე

დისერტაციის დაცვა შედგება 1995 წლის 6-X/13 საათზე იგანე ჯაფარიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ლიტერატურის დარგის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს P10.01.C № 10-3 სხდომაზე.  
380028 თბილისი, ვაგჟაძის გამზარი 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 1995 წლის 4-X

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს  
სწავლელი მდივანი, პროფესორი

 .ტაბაძე

- 1501 -

ნაშრომის ზოგადი დიხასიათება

თემის აქტუალობა. ქართულ ენაზე არსებულ უძველეს თარგმანთა კვლევის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართული, ასევე ამ ქვეყნების ლიტერატურათა შესახებ ვადალ, საბიბლიოთეკური ძეგლი ითარგმნა. ლათინურთა თუ ბერძნულს, სიძველე თუ სიმხურთ, აგრეთვე სხვა ენებთან თარგმნილი ნებისმიერი ლიტერატურული ძეგლების შესწავლა მრავალმხრივად საინტერესო ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობისათვის. ამასთან, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბიზანტიისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის სერიალური მეცნიერული კვლევა-ძიება შეუძლებელია ქართული მასალის გაუთვალისწინებლად.

„დიპლომის“ ქართული რელიქვიების შესწავლა ქართული ფილოლოგიის გადარჩევნად ამოცანად გვესახება. მით უფრო, რომ ქართულ-რომაული ლიტერატურული კონტაქტები თითქმის შეუსწავლელია. ქართველ და რომაულ მოღვაწეთა მჭიდრო ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ კი ქართულ ისტორიოგრაფიას თუ ლიტერატურას მრავალი მნიშვნელოვანი ცნობა შემოუნახა. გასაძვირებელია „დიპლომის“ ქართულ ხელნაწერთა ბერძნულ და ლათინურ დედნებთან მიმართება, შესასწავლია ნაწარმოების რედაქციური ვარიანტები და თავისებურებები, მისი როლი და ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, დასაბუთების ტიპოლოგიური მიმართებები მრავალენოვანი ქრისტიანული ლიტერატურის ძეგლებთან, დასაძებნია სიუიეტური პარალელები და მრავალი სხვა. გრიგოლ რომაელის „დიპლომის“ ქართულ რედაქციების შესწავლა მნიშვნელოვან წილს შეიტანს ათწლის ქართული სალიტერატურო სკოლის მოღვაწეობის კვლევის საქმეშიც.

პრობლემის შესწავლის დანი. ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობით დაინტერესება ასეულობით წელს ითვლის. ქართულ თუ უცხოელ მეცნიერთა მთელი თაობები სწავლობდნენ და სწავლობენ ამ ურთიერთობათა მრავალ პრობლემურ საკითხს. ინტენსიური ხასიათი კი ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევაში XI საუკუნეში მიიღო, როდესაც საქართველოში ჩამოყალიბდა მძლავრი ქართველოლოგიური მეცნი-